

ფინანსების საფუძვლები II კურსი
(ბიზნეს-ინჟინერინგი)(ვალერი მოსიაშვილი)
I სემესტრი. 2017-2018 წელი
(დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

Question 1

ფინანსები – ეს არის ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია

Select one:

- a. ფულადი სახსრების ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფონდების მოხმარება, განაწილება, გადანაწილება, განკარგვასა და გამოყენებასთან.
- b. ფულადი სახსრების ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფონდების ფორმირება, განაწილება და გამოყენებასთან;
- c. ფულადი სახსრების ცენტრალიზებული ფონდების ფორმირება, განაწილება და გამოყენებასთან;
- d. ფულადი სახსრების ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფონდების წარმოება, ფორმირება, განკარგვასა და მოხმარებასთან;

Question 2

როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, სახელმწიფოს ფინანსების მართვა არის:

Select one:

- a. ქვეყნის ცენტრალური ბანკის დაქვემდებარებაში;
- b. ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს - პარლამენტების დაქვემდებარებაშია;
- c. ყველა პასუხი მცდარია.
- d. პრეზიდენტის დაქვემდებარებაში;

Question 3

ფინანსურ შუამავლებსა და ფინანსურ ბაზრებს შორის ყველა ურთიერთობა, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფოს, საოჯახო მეურნეობების, მთავრობების, კომერციული ფირმების ფულადი საშუალებების, უცხოური სესხებისა და ინვესტიციების ნაკადების განაწილებასთან არის

Select one:

- a. ეკონომიკური სისტემა;
- b. ფულადი სისტემა.
- c. საკრედიტო სისტემა;
- d. ფინანსური სისტემა;

Question 4

ფასების ფორმირების პროცესი არსებული ეკონომიკური პირობების, მოქმედი საკანონმდებლო ნორმებისა და დამკვიდრებული პრაქტიკის გათვალისწინებით, არის

Select one:

- a. ლისტინგი;
- b. ფასწარმოქმნა.
- c. ემისია;
- d. ფიქსირება;

Question 5

კონცეფცია, რომლის შესაბამისად ფინანსურ ბაზარზე მოგების ნორმის გათვალისწინებით ფულის ღირებულება დროის განმავლობაში იცვლება, რომლის სახით სასესხო პროცენტის ნორმა გამოდის, მოიხსნიება, როგორც

Select one:

- a. ფულის ღირებულების კონცეფცია დროში;
- b. ფულის კოტირების კონცეფცია დროში.
- c. ფულის მსყიდველთუნარიანობის კონცეფცია;
- d. ფულის კონვერტაციის კონცეფცია მიმოქცევაში;

Question 6

საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ, არის

Select one:

- a. სახელმწიფო შემოსავალი.
- b. ბალანსი;
- c. საგადასახდელო ბალანსი;
- d. ბიუჯეტი;

Question 7

ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობა, რომელიც ყალიბდება, ერთის მხრივ, სახელმწიფოს და, მეორეს მხრივ, იურიდიულ, ფიზიკურ, უცხოურ პირებს შორის დაკრედიტების პირობებით ფულადი სახსრების მოძრაობის გამო, არის:

Select one:

- a. სახელმწიფო სუბსიდია;
- b. სახელმწიფო დახმარება;
- c. სახელმწიფო შემოსავალი;
- d. სახელმწიფო კრედიტი.

Question 8

საბაზრო ეკონომიკის პირობებში გადასახადები ასრულებს ორ ძირითად ფუნქციას:

Select one:

- a. ფისკალურსა და დისკრეციულს;
- b. ფისკალურსა და მარეგულირებელს;
- c. სახელმწიფოსა და საზოგადოებრივს.
- d. მასტიმულირებელსა და მარეგულირებელს;

Question 9

კომერციული ბანკის ძირითად ფუნქციებს არ მიეკუთვნება:

Select one:

- a. საგადასახდელი მექანიზმის უზრუნველყოფა.
- b. დანაზოგების აკუმულაცია;
- c. ფულადი ნიშნების ემისია;
- d. საკრედიტო ფულის შექმნა;

Question 10

სადაზღვევო კომპანიის ფინანსური სიმყარის ძირითად საფუძველს არ წარმოადგენს:

Select one:

- a. სადაზღვევო რეზერვები;
- b. გადაზღვევის სისტემა;
- c. საწესდებო კაპიტალი;
- d. ძირითადი ფონდები.

Question 11

არაკომერციული საქმიანობის სახეებისგან შესაძლო მოგების ან შემოსავლის გამოყენების ფინანსური მექანიზმი, მოწმობს, რომ მოცემული ფულადი სახსრები:

Select one:

- a. მიემართება ან ორგანიზაციის განვითარებაზე, ან პირებზე, რომლებიც სარგებლობენ მისი მომსახურებით;
- b. ნაწილდება ორგანიზაციის წევრებს შორის;
- c. ნაწილდება ორგანიზაციის კონტროლთან დაკავშირებულ პირებს შორის.
- d. მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში;

Question 12

არასამეწარმეო იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება:

Select one:

- a. ყველა პასუხი სწორია.
- b. მხოლოდ არასამეწარმეო იურიდიული პირის საქმიანობას;
- c. მხოლოდ არასამეწარმეო იურიდიული პირის ორგანიზაციულ განვითარებას;
- d. მხოლოდ ხელს უწყობს არასამეწარმეო იურიდიული პირის მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

Question 13

საქართველოს კანონის „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ თანახმად, საპენსიო ასაკი განისაზღვრება:

Select one:

- a. ქალებისთვის - 65 წელი, მამაკაცებისთვის - 67 წელი;
- b. ქალებისთვის - 60 წელი, მამაკაცებისთვის - 65 წელი.
- c. ქალებისთვის - 55 წელი, მამაკაცებისთვის - 60 წელი;
- d. ქალებისთვის - 55 წელი, მამაკაცებისთვის - 65 წელი;

Question 14

დაუმთავრებელი გარიგებებიდან სავაჭრო პორტფელის ინსტრუმენტების შესაძლო დანაკარგების მიღებასთან დაკავშირებული რისკი, რომელიც ანგარიშსწორების ჩატარების პერიოდში (დადგენილი ვადის ხუთი დღის გადაცილებით) საბაზრო ფასების არასასურველი ცვლილებების შედეგად შეიძლება წარმოიშვას, არის:

Select one:

- a. საანგარიშსწორებო რისკი;
- b. საქმიანი რისკი;
- c. საოპერაციო რისკი;
- d. საპროცენტო რისკი.

Question 15

განვითარებად ქვეყნებში უცხოური კერძო კაპიტალის მოდინების ხელშეწყობა წარმოადგენს:

Select one:

- a. განვითარების საერთაშორისო ასოციაციის ძირითად მიზანს;
- b. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ძირითად მიზანს;
- c. მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტოს ძირითად მიზანს;
- d. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ძირითად მიზანს.